სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორის მოვალეობის შემსრულებლის
არჩევნების ჩატარების
საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №2
14 აპრილი, 2016 წ. (12:00 სთ)

დღის წესრიგი

1. <u>სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ამომრჩეველთა სიის დამტკიცების შესახებ</u>

ვ. გონაშვილმა კომისიას წარუდგინა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ამომრჩეველთა სია, რომელიც მიღებულია თსუ პერსონალის მართვის დეპარტამენტიდან (დოკუმენტი №13922/02, 12.04.2016). კომისიას უნდა მიეღო გადაწყვეტილება მისი დამტკიცებისა და გამოქვეყნების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ამომრჩეველთა სია (დანართი №1) და გამოქვეყნდეს იგი თსუ ოფიციალურ ვებგვერდზე.

2. <u>სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის საარჩევნო უბნის ადგილმდებარეობის, კაბინების რაოდენობის დამტკიცების შესახებ</u>

ვ. გონაშვილმა კომისიას წარუდგინა წინადადება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის საარჩევნო უბნის თსუ პირველი კორპუსის სააქტო დარბაზის ფოიეში (თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1) განლაგებისა და მასში ფარული კენჭისყრის ექვსი კაბინის მოწყობის შესახებ. კომისიას კენჭი უნდა ეყარა აღნიშნული საკითხისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის საარჩევნო უბანი განლაგდეს თსუ პირველი კორპუსის სააქტო

დარბაზის ფოიეში (თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1) და მასში მოეწყოს ფარული კენჭისყრის ექვსი კაბინა.

3. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის საარჩევნო ბიულეტენის ფორმის განსაზღვრის შესახებ

დ. ეგნატაშვილმა კომისიას წარუდგინა წინადადება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის საარჩევნო ბიულეტენის ფორმის განსაზღვრის შესახებ. კერძოდ, აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იყო, ბიულეტენში მითითებულიყო მხოლოდ არჩევნების დასახელება, კენჭისყრის თარიღი და კანდიდატთა ვინაობა მათი გვარების საწყისი სიმბოლოების ანბანური თანმიმდევრობით. კომისიას კენჭის უნდა ეყარა აღნიშნული საკითხისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

განისაზღვროს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის საარჩევნო ბიულეტენის ფორმა და მასში ჩაიწეროს არჩევნების დასახელება, კენჭისყრის თარიღი და კანდიდატთა ვინაობა მათი გვარების საწყისი სიმბოლოების ანბანური თანმიმდევრობით.

4. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაციის თაობაზე 14 აპრილის 12:00 საათამდე შემოსული განცხადებების განხილვის შესახებ

დ. ეგნატაშვილმა კომისიას წარუდგინა 14 აპრილის 12:00 საათამდე მიღებული ოთხი განცხადება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაციის მოთხოვნით. კომისიას კენჭის უნდა შეემოწმებინა თითოეული განცხადების შესაბამისობა კანონმდებლობის, თსუ წესდებისა და აკადემიური საბჭოს დადგენილებებთან. ასევე, მიზანშეწონილი იყო განცხადებების განხილვა მათი კანცელარიული მიღების თანმიმდევრობის დაცვით. კომისიას თითოეული განცხადების საკითხისათვის ცალ–ცალკე უნდა ეყარა კენჭი.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

პროფ. მ. ელიაშვილი (განცხადება №13298/02, 06.04.2016) და პროფ. ი. მერაბიშვილი (განცხადება №13815/02, 12.04.2016) – წარმოდგენილია ყველა სავალდებულო დოკუმენტი, თუმცა განცხადებები არ აკმაყოფილებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც „სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი“. აღნიშნული ნორმისაგან გამონაკლისი წესი პირდაპირ უნდა იყოს გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

წესდებით, რაც ამ შემთხვევაში სახეზე არ არის და ამდენად, მოცემული საფუძვლით, უარი ეთქვას განმცხადებლებს კანდიდატად რეგისტრაციის მოთხოვნაზე. პროფ. ც. ბარამიძე (განცხადება №14010/02, 13.04.2016) და პროფ. ლ. გორდეზიანი (განცხადება №14101/02, 14.04.2016) – წარმოდგენილია ყველა სავალდებულო დოკუმენტი და თანხმობა ეთქვას განმცხადებლებს კანდიდატად რეგისტრაციის მოთხოვნაზე.

თავმჯდომარე /ვ. გონაშვილი/

მდივანი /დ. ეგნატაშვილი/